

დავით ალადაშვილის კონცერტი თიბისი გალერეაში

27 დეკემბერს, 19:30 საათზე, თიბისი გალერეაში ახალგაზრდა ქართველი პიანისტის, დავით ალადაშვილის სოლო კონცერტი გაიმართება.

მოწვეული სტუმრის სტატუსით, კონცერტზე დაუკრავს შვეიცარიაში მოღვაწე ქართველი პიანისტი, თეა ჭკუასელი.

დავით ალადაშვილი, 21 წლის ქართველი პიანისტი, ნიუ-იორკის ჯულიარდის კონსერვატორიის ამომავალი ვარსკვლავი, ვან-კლიბერნისა და სუზან როუზის საფორტეპიანო გრანტის მფლობელი, საქართველოს პრეზიდენტის ორგზის სტიპენდიანტი ... ვლადიმერ სპივაკოვის ფესტივალის (პარიზი) გრან-პრის მფლობელი, მიღებული აქვს მონაწილეობა ზალცბურგის საზაფხულო აკადემიაში, პროფესორ დიმიტრი ბაშკიროვთან და პროფესორ კარლ-ჰეინც კამერლინგთან.

დავით ალადაშვილმა უკვე დაიპყრო მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული საშემსრულებლო სივრცეები- კარნეგი ჰოლი, ლინკოლნ ცენტრი და ა.შ.

თეა ჭკუასელი საკონცერტო და პედაგოგიურ მოღვაწეობას შვეიცარიაში ეწევა. ის ხშირად მონაწილეობს კამერული მუსიკის ფესტივალებში საზღვარგარეთ. დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია სოლისტის სპეციალობით, მოღვაწეობდა ჩეხეთში, შემდეგ კი შვეიცარიაში. 2006 წელს გაიარა მხატვრული აკომპანიმენტის კურსი ციურიხის ხელოვნების უმაღლეს სკოლაში. 2010 წელს, პროფესორ რიგერის ხელმძღვანელობით, დაასრულა ამავე სასწავლებლის სამაგისტრო კურსი.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ ეორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიების ბაზარზე
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ ეო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ წარმოდგენილია აზერბაიჯანის და ისრაელის ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B + and B
- ◆ Moody's: B 1 and Ba 3